ლარის გაცვლით კურსზე მოქმედი საგარეო ფაქტორები, 2016 I - III კვარტალი

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #83/ 28.10.2016

2016 წლის მესამე კვარტალში 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით:

- ლარი დოლართან მიმართებით საშუალოდ 0.12%-ით არის გამყარებული;
- სავაჭრო სალდო გაუარესებულია (5.7%, 73.2 მლნ.დოლარი);
- ფულადი გზავნილების მოცულობა გაზრდილია (16.1%, 42.4 მლნ.დოლარი);
- ქვეყანაში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი გაზრდილია (3.9%, 84 ათასი კაცი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

1. 2016 წლის მესამე კვარტალში, 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაზრდილია როგორც ექსპორტის (0.1%, 0.6 მლნ.დოლარი), ასევე იმპორტის მოცულობა (40.0%, 810.1). თუმცა C ჰეპატიტის მედიკამენტების გამორიცხვით, რომელიც საქართველომ უსასყიდლოდ მიიღო, იმპორტის მოცულობა მხოლოდ 4.0% - ით არის გაზრდილი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2016 წლის მესამე კვარტალში უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 1.4 მლრდ. დოლარი შეადგინა, რაც 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელს (73.2 მლნ.დოლარი) 5.7%-ით აღემატება.

სავაჭრო სალდოს გაუარესებამ ნეგატიური გავლენა იქონია ლარის გაცვლით კურსზე.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2016 წლის მესამე კვარტალში, 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ლარი დოლართან მიმართებით საშუალოდ 0.12%-ით არის გამყარებული, ხოლო ევროსთან მიმართებაში 0.23%-იანი გაუფასურება აღინიშნება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში, 2016 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ლარი როგორც დოლართან, ასევე ევროსთან მიმართებაში მნიშვნელოვნადაა გაუფასურებული (4.9%; 3.8%). ეს მეტწილად მეორე კვარტალში ლარის სეზონური გამყარებით აიხსნება.

აღნიშნულ ბიულეტინში მიმოვიხილავთ გაცვლით კურსზე მოქმედ ხუთ ფაქტორს:

1. საგარეო ვაჭრობა;

2.კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები და მიღებული დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში;

3. საერთაშორისო ვიზიტორების დინამიკა;

4. ფულადი გზავნილების დინამიკა;

5. ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

2. კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებისა და მიღებული დეპოზიტების მოცულობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ლარის გაცვლით კურსზე.

2016 წლის მესამე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა გაიზარდა აგვისტოსა (3.0%) და სექტემბერში (5.9%) წინა თვესთან შედარებით. გასხვავებულია სურათი უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების შემთხვევაში, 80%-იან ზრდას ივლისში მოყვა შემცირება როგორც აგვისტოში (-29%), ასევე სექტემბერში (-40%), წინა თვესთან შედარებით.

2016 წლის ივლისში ლარი გაუფასურდა (6.81%), ხოლო აგვისტოსა (-0.77%) და სექტემბერში (-0.32%) იგი მყარდებოდა, წინა თვესთან შედარებით.



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

3. 2016 წლის მესამე კვარტალში, 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ქვეყანაში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია (3.9%, 84 ათასი კაცი).

ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობა ქვეყნაში ტურიზმის გაზრდასთან ასოცირდება, რაც დადებით გავლენას ახდენს ლარის გაცვლით კურსზე.

4. 2016 წლის მესამე კვარტალში, 2015 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (16.1%, 42.4 მლნ. დოლარი). ზრდა ფიქსირდება როგორც ივლისში (10.3%, 9.4 მლნ.დოლარი), ასევე აგვისტოსა (25.3%, 21.4 მლნ.დოლარი) და სექტემბერში (13.1%, 11.6 მლნ.დოლარი).

აღსანიშნავია, რომ შემცირებულია ფულადი გზავნილები რუსეთიდან (-7.3%, 8.7 მლნ.დოლარი), რომელიც სიდიდით კვლავ უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნად რჩება ფულადი გზავნილების კუთხით (მთლიანი გზავნილების 35.7%). თუმცა, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი გზავნილები საბერძნეთიდან (2.7-ჯერ, 23.4 მლნ. დოლარი). გამომდინარე იქიდან, რომ საბერძნეთიდან გზავნილები უმეტესად ევროში ხორციელდება, აღნიშნული დადებითად აისახება ლარის ევროს მიმართ გაცვლით კურსზე.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

5. ლარის გაცვლითი კურსის რეგულირების მიზნით, 2016 წლის მესამე კვარტალში ეროვნულმა ბანკმა განახორციელა შემდეგი სავალუტო ოპერაციები, შეიძინა 20 მლნ.დოლარის ღირებულების უცხოური ვალუტა, ხოლო გაყიდა ჯამში 80 მლნ.დოლარის ვალუტა.

2016 წლის 28 ოქტომბრის მდგომარეობით, ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ ოქტომბერში გაყიდა 100 მლნ. დოლარის ვალუტა, თუმცა ეროვნული ბანკი კიდევ ფლობს 2.5 მლრდ. დოლარის უცხოური ვალუტის რეზერვს.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2013	2014	I 2015	II 2015	III 2015	IV 2015	2015	I 2016	II 2016
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16139.9	16528.5	3325.0*	3407.6*	3545.0*	6682.3*	13959.9*	3018.8*	3642.6*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3599.6	3680.8	884.5*	913.4*	950.5*	994.7*	3743.1*	811.4*	979.1*
მშპ-ს რეალური ზრდა	3.3%	4.8%	3.2%*	2.5%*	2.5%*	2.9%*	2.8%*	2.6%*	3.0%*
ინფლაცია	-0.5%	3.1%					4.0%		
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	941.9	1 758.4	175.3*	354.7*	489.0*	267.9*	1 351.1*	388.6*	445.3
უმუშევრობის დონე	14.6%	12.4%					12%		
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4202	4200	3989	4181	4195	4315	4315	4396	4404
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.4%	21.4%					20.1%		

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
http://comtrade.un.org/data/

*პროგნოზი